საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო

ხუთშაბათი
5 ნოემბერი.
წელიწადი I.

ფასი: წლიურად 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურად 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილად გადაიხადონ. ხელის-მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილად. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დებეტდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 215 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 215

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.“

ტელეფონი № 76.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „სამშობლო“
ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნომერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები. რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

1915 წ.
ნოემბერი
5
ხუთშაბათი

„ქართული დრამა“. № 17
ქალაქის თეატრი.
დანიშნულია წარმოდგენა საღამოს 8 საათზე
პირველად ახალი პიესა
სალომეს ოჯახი
3 მოქმ.
ავტორი: ტ. რიმიშვილი
წარმოდგენის დაწყებამდე შ. დადიანი წარმოსთქვას რამდენიმე სიტყვას პიესის შესახებ.
მონაწილეობს მთელი დასი.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
რეჟისორი შალვა დადიანი.
ადმინისტრაცია „ქართული დრამის“ ამხ-სა. 2—2

ანონსი:
მზადდება
ვ. გუნიას „და-ძმა“, მეიერის „შემკვიდრე ჰრინცი“.

1 ნოემბერს, ღამით, ს. როკითში გარდაიცვალა მემამულე
ირაკლი გიორგის ძე აბულაძე,
რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე მისი ჰელაგია ფირანის ასული, ძენი: სანდრო, იუსტინე, გიორგი და ბესარიონ ირაკლის ძენი და ასული ელისაბედ გულისაშვილის მეუღლე და სიძე და რძლები შვილებით და შვილიშვილებით.
ცხედრის გამოსვენება საკუთარი სახლიდან და დაკრძალვა საგვარეულო სასაფლაოზე როკითის მაცხოვრის ეკლესიის გალავანში მოხდება ხუთშაბათს, 5 ნოემბერს, ნაშუადღევის 2 საათზე. 1—1

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი
ხუთშაბათიდან, 5 ნოემბრიდან ახალი საუცხოვო პროგრამა.
ბოლოს ძროლია. მიმდინარე ამბები.
ჩაიკა.
4 ნაწილათ. მოზეუხინის, ორლოვისა და რინდინის მონაწილეობით.
დაწუნებული საქმრო. კომიკური.
ანონსი: ორშაბათიდან, 9 ნოემბ. მზადდება საჩვენებლათ ანია. დრ. 4 ნაწ.

დაიბეჭდა და იყიდება
ქუთაისში მთავრიშვილის და ამხ. და თბილისში სერ. კითხვის სახ. წიგნის მაღაზიაში
სამსონ დათეშიძის მიერ შედგენილი
„სახატავი ნიმუშები და ქართული დედანი“,
ფასი 25 კაპ. მე-4-ე გამოცემა. ეს გამოცემა საკუთრებად შეძენილია მთავრიშვილისა დაამხ. წიგნის მაღაზიისაგან. 10—10

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა
„რუსეთი“ („როსსია“),
სადაც შეიძლება დაზღვევა ცეცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.
პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვევონ თავი. ტელეფონი № 26
წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.
თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა დავით სიმონის ძე ღოღობერიძე.

კბილის ექიმი
ვ. მგელაძე—ბალიცკისა
დღეულობს ავათმყოფებს დილის 9 ს.—12 საათ., საღამოთი 4—5 საათამდი.
მისამართი: თბილისის ქუჩა, ვლ. წერეთლის სახლში. თ.

ექიმი მულინი
ყელის, ცხვირისა და ყურების ღებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი. კვირეს გარდა.
თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

ექიმი ბ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დიდის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ეფოფილი ქალაქის თავის დ. ა. დორთქიფანიძის სახლი. თვ.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე გოკიელის
ელექტრონისა და ხინათლის კაბინეტი.
შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ.
ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

ბეგია ვ. ვ. კოტრეიძე
უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება შშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

სუშადო სასწავლებლის უნტერრს კლასებისთვის, უმაღლეს დასწეისს 4 კლასიან სასწავლებლის უმეტეს კლასისთვის ვამზადებ მოწაფეებს, ეგზამენის დაჭერა უზრუნველყოფილია.
მისამართი: ივანოვის ქუჩა, ბარიკმახერის ნიკეფორეს ქალაქის სახლი № 32.
პირობების შეტყობა შეიძლება საღამოს 4—6 ს.

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი
მარ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნოკებს, ბორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილათ ვარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთ ქიფანიძისსახლი. თ

კბილის ექიმი
რ. პ. სვანაძე ასული
მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე.
თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკის) სახლში.

ექიმი ი. ჩარეიძოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12 —2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)

უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან.

3 ნოემბერი. დასავლეთის ფრონტი. ოფიც. რიგის რაიონში პრიპიატამდი არაფერი შესამჩნევი მოხდარა. სოფ. ცმინისა და ხრიას რაიონში, მდ. სტირზე ფონების წინ ბრძოლა გრძელდება.

კავკასიის ფრონტი.

ურმიის ტბის სამხრეთით ჩვენმა ჯარმა გაფანტა ქურთთა ბრბოები, რომელთაც ეხმარებოდა ოსმალეთის გაწვრთნილი ჯარი.

ომის ამბები.

„რეჩი“ სწერს: შლოკის რაიონში თერთმეტი დღის განუწყვეტელი ბრძოლა კელმერნის აღებით დასრულდა. ეს გამარჯვება მნიშვნელოვანია: იგი აშორებს გერმანელებს რიგას და ამასთანავე გავლენას იქონიებს დვინაზე სამხედრო ოპერაციების მიმდინარეობაზეც. ჩვენი მარცხენა ფრთის წაწევა მიტავა—შლოკის მიმართულებით სერიოზულათ ემუქრება ფრიდრიხშტადტსა და იაკობშტადტს შუა მოქმედ მტერს. დვინის რაიონში სამხედრო მოქმედების ინიციატივა ისევ ჩვენ ხელშია. სტირის შუა მიმდინარეობის რაიონში კვლავ სასტიკი ბრძოლა გძელდება. სამხედრო ავტორიტეტიული პირები ადნიშნენ, რომ აქ სამხედრო ოპერაციების დამახასიათებლათ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ბრძოლა პერიოდულათ ხან მიყუჩდება და ხან მოულოდნელათ განახლდება ხოლმე და ისიც ზედმეტი თავგანწირვითა და სიმწვავით ამ რაიონს ფრიად დიადი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს და დიდ წარმატებას მიანიჭებს მას, ვისაც იგი ეკავება.

——

როგორც „ბირჟევ. ვედ.“ იუწყება, მოკავშირეებს და ბულგარლებს შორის უკვე გადამწყვეტი ბრძოლა გაჩაღდა.

——

„რუს. ინვალიდი„ სწერს, რომ მტრის მიერ მოტანილი იერიშების სისასტიკე დვინის ჩრდილოეთ ფრონტზე და განსაკურთებით სამხრეთ ფრონტზე სტირის რაიონში იმას ამტკიცებს, რომ მტრის შეტევას აქ დემონსტრატიული ხასიათი აქვს. დემონსტრაციის მიზანი კი არის — დაფაროს თავისი სისუსტე მთელს ფრონტზე. უნდა ვიფიქროთ, რომ მტერს ძლიერ ეღელვების ჩვენი ფართო შეტევის დაწყება. მოპირდაპირის ხაზებზე უკანასკნელ დროს წინააღმდეგობა ძლიერ შესუსტდა, რასაც ამოწმებს რიგისადა დვინას რაიონებში მდებარე ფრონტზე მომდარი ამბები.

——

კოპენჰაგენიდან დეპეშით იტყობინეიან: „ფოსიშე ცეიტენგის“ ცნობით, გენერალი მაკენზენი ბელგრადზე იერიშის მიტანის დროს სუბუქათ დაჭრილა.

——

სალონიკიდან ცნობაა,—სერბიის მეფე ეტრე ტოპოლიდან ბრძოლის ველზე წავიდა, გამოსთქვა რა სურვილი იბრძოლოს თავის ჯარის კაცებთან ერთად და მოკვდეს მათთან ერთად თხრილებში

——

„ნოვოე ვრემიას“ პარიზიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ რომის პოლიტიკური წრეების აზრით, საბერძნეთი ცდილობს თვალების ახელვით ნაშდვილი თვისი მიზანი. სწრაფებანი არ გამოააშკარაოს იმდროამდი ვიდრე არ დადგება მომენტი, როცა იგი ავსტრო-გერმანეთის სასარგებლოთ გამოვა. საფრანგეთის პრესაც ეტყვის თვალით უყურებს საბერძნეთის პოლიტიკას და მოითხოვს, რომ ოთხთა შეთანხმებამ მოითხოვოს სრული გარანტია საბერძნეთისა განო. დეპუტატთა პალატის საფინანსო კომისია შეეკითხა პრემიერ შინისტრს ბრიანს ახალი ავანსის შესახებ, რომელსაც საბერძნეთის მთავრობა მოითხოვს.

——

„ნოვ. ვრ.“ ატყობინებენ, რომ გარეშე საქმეთა სამინისტროს ხელში აქვს ოფიციალური ცნობა, რომელიც ადასტურებს სერბიისა და ინგლის-საფრანგეთის ჯარის წარმატებას ველესთან. საბერძნეთის წრეებიდან იუწყებიან, რომ ბულგარეთის ჯარის მესამედი ნაწილი, უკვე გავიდა წყებიდან. სოფიაში უკიდურესი დამაღონებელი მდგომარეობაა.

——

„უტრ. როსიი“ იტყობინება რომ სერბიის მეფის გვარეულობა და სერბიის ჯარის მთავარი ბინა მონასტირში გადავიდაო.

——

„ბირჟ. ვედ.“ თანამშრომელთან საუბრის დროს გენერალ რუზსკის უთქვამს, რომ არა საბერველ სიურპრიზების დრომ გაიარა და აღარც დაბრუნდება. მტრის წინ წამოწევის შეჩერება მის უკან დახევას მოასწავებს. გერმანელები ამ ბოლო დროს დიდი ხალისით ვარდებიან ტყვეთ. მათ აღარ აქვთ წინანდელი სიმტკიცე და საერთოდ მათ ჯარს მოქანცულობა ეტყობოო.

რადოსლავოვი ბალკანეთის შესახებ

ბუდაპეშტის ოფიციალური პრესა ქებათა-ქებას ასმაშს რადოსლავოვს და მას ბალკანეთის ბისმარკათ ნათლავს. „რუმინიამ—ამბობს რადოსლავოვი—მტკიცეთ გადასწყვიტა არ ჩაებას ავანტიურაში. მე დარწმუნებული ვარ, რომ საბერძნეთიც ამ ჭკვიან გზას გაყვება და ნეიტრალიტეტს არ დაარღვევს, სერბიელებმა ვერ დაიწყეს ბულგარეთის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედება თავის დროზე, რადგანაც შეთანხმების სახელმწიფოთა დიპლომატიამ მათ აუკრძალა იარაღის ხმარება. ჯერ კიდევ ადრე ეგონათ და დიპლომატიური ხერხით ცდილობენ ბულგარეთთან საქმის გათავებას. მე ვფიქრობ, რომ ამ აკრძალვა შეიქნა დელკასეს გადადგომის მიზეზი. სერბიელები მზად არ იყვნენ უიარაღით გამკლავებოდენ ბულგარლებს“.

საბერძნეთი.

ჯარების დემობილიზაციას არ ახდენენ. არჩევნები ახალ პარლამენტში მოხდება ამრჩეველთა განსაზღვრულ რიცხვის მონაწილეობით. დიპლომატებს აქედან ის დასკვნა გამოყავთ, რომ მთავრობა ამით თავის მოარჩილ პარლამენტის შექმნას ფიქრობსო.

——

ვენიზელოსი საგარეო პოლიტიკის გარეულობის გამო მეტათ რუევაშია. მან არ იცის, რა გზას უნდა დაადგეს არჩევნების დროს. ვენიზელოსის მიმდევართა საერთო კრება გადადებულ იქნა.

რუმინეთი.

ბუქარესტიდან ბერლინში ატყობინებენ, რომ 28 ნოემბერს, პარლამენტის სხდომის გახსნის წინ, შესდგება სამეფო

საბჭო, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ პარტიის ბელადები და ყოფილი მინისტრები: კარპი, მაიორესკუ, მარგილომანი (გერმანოფილები და იონესკუ, (შეთანხმების მომხრე). ეს საბჭო საბოლოოთ გადასწყვეტს რუმინიის საგარეო პოლიტიკის საკითხს.

— —

ათინის გაზეთი „ჰესპერა“ იუწყება: გერმანიამ განუცხადა რუმინიას და საბერძნეთს, რომ გერმანელები და ავსტრიელები დაინტერესებული არიან ბალკანეთში დაიცვან წონასწორობა და ის ეცდება გააფართოვოს მათი ტერიტორია იმის შესადარათ, რასაც ბულგარეთი იარაღით დაიპყრობს. ამის სამაგიეროთ გერმანია მოითხოვს ორივე სახელმწიფომ ნეიტრალიტეტი დაიცვან.

— —

— „ადევერული“ განმარტებას აძლევს ბრატიანუს ბაასს დეპუტატებთან, რომელიც ამტკიცებდა, რომ დეპუტატები პრემიერის აზრისანი არიანო, დეპუტატებს ის აზრი გამოუტანიათ, რომ რუმინია გაზაფხულამდე ბრძოლაში არ ჩაერევა. გაზეთს უკვირს, რომ დეპუტატებმა ვერ გააგეს თუ სახელდობრ ვის წინააღმდეგ გაილაშქრებს რუმინია.

რუმინიის სოციალისტები ომის წინააღმდეგ.

გაიხსნა რუმინიელ სოციალისტების მეოთხე კონგრესი, რომელსაც დაესწრო პროვინციებიდან ბევრი წარმომადგენელი, მონაწილეობას იღებს სოციალისტების ბელადი რაკოვსკი. კონგრესი იხილავს თუ რა პოზიციას დაადგენ ბალკანეთის საკითხის გამო. უმეტესობა რუმინიის ნეიტრალიტეტის მომხრეა.

— —

„მორინგ პოსტის“ ცნობით რუმინიის კაბინეტში ახლო მომავალში ზოგი ცვლილებები მოხდება. ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი რადონიჩი და იუსტიციის ანტონესკუ არ იწონებენ ბრატიანუს გერმანოფილურ პოლიტიკას და ამ დღეებში გადადგებიან. მათ მაგივრათ მიიწვევენ პრემიერის ძმას ვინტილ ბრატიანუს და სტელიანუსს.

ცენზურის წინააღმდეგ.

პარიზის ექვსმა დიდმა გაზეთმა გადასწყვიტა 15 ნოემბრიდან არ წარუდგინონ ცენზურას პოლიტიკური სტატიები და საინფორმაციო მასალა.

შეკითხვა.

ამერიკის მთავრობა ახალ ნოტას უგზავნის ინგლისს, საცა იგი პროტესტს აცხადებს ბამბის კონტრაბანდათ გამოცხადების წინააღმდეგ.

ბუკოვინაში ბრძოლა განახლდა.

ავსტრიელებს ახალი მაშველი ჯარები მიუვიდათ ბუკოვინის ფრონტზე და ფართო იერიშების მიტანას შეუდგნენ. ბაიანის სამხრეთ-დასავლეთით სასტიკი ბრძოლა დაიწყო.

ქრონიკა.

რუსეთი.

თავად შერბატოვს და გზათა მინისტრათ ნამყოფს რუსლოვს ებოძათ ხელმწიფე იმპერატორის სურათი საკუთარი ხელის წარწერით.

— —

„ბირჟ. ვედ.“ კორესპონდენტთან საუბრის დროს გორემიკინს უთქვამს: ერთადერთი საყურადღებო საკითხი, რომელიც მთავრობის ყურადღებას იპყრობდა,—ჯარისადმი საჭირო სამხედრო სურსათის მიწვდა—ამ ჟამათ უკვე თითქმის მოწესრიგებულია. დღითიდღე რესურსები რუსეთისა ჯარის შეიარაღების ნახრით ძლიერდება. ახლათ გაწვეული ჯარის კაცები კარგათ ჩაცმულები არიან და სრულიად გამოსადეგარნი ბრძოლისათვის. და მალე დადგება მომენტი, როცა რუსეთი ბრძოლის ველზე რამდენიმე მილიონ ახალ ჯარის კაცს გაგზავნის. ეს დღე იქნება ისტორიულ დღეთ და კიდეც მოელება ბოლო გერმანეთის ამაყობას.

შემდეგ გორემიკინს უთქვამს, რომ ომიანობის დროს მთავრობის საზრუნავათ მხოლოდ ისეთი საკითხების გადაწყვეტა იქნება, რომელსაც პირდაპირი დამოკიდებულება ექნება ომთან. მთავრობა, ეტყვის გარეშეა, შეასრულებს ყველა დაპირებას პოლონეთის ერისადმი.

— —

საზელმწიფო საბჭოს მემარჯვენე ცენტრში ხმა გავრცელდა, რომ ნეიტგარდტმა ლიდერობაზე უარი განაცხადა უდროობის გამო. მემარჯვენე ცენტრის ლიდერობას იკისრებს კრივოშეინი.

— —

როგორც „ნოვ. ვრემიას“ გაუგია, მომავალ კვირაშე მოხდება თათბირი პოლონელების შემზღუდველ წესების გაუქმების შესახებ. თათბირის თავჯდომარეთ განზრახულია იყოს შინაგან მინისტრის ამხანაგი თ-დ ვოლკონსკი.

— —

ვერიოვკინის თავჯდომარეობით მომხდარ თათბირზე გადაწყდა გახსნან ნაფიც მსაჯულთა ორი საბჭო ტაშკენტში და კიევში. ებრაელ ვექილების შესახებ თათბირმა დაადგინა, რომ იმ ადგილებში, სადაც ებრაელები შეადგენენ მცხოვრებთა უმრავლესობას, ვექილები მიიღებიან 15 პროც., ხოლო დანარჩენ ადგილებში ხუთიდან თამდე. თანაშემწეთა მიღების გაგრძელების შესახებ თათბირმა უარი განაცხადა.

— —

შესაძლებლათ სცნეს არ გაიწვიონ ლურჯი ბილეთიანი ექიმები, პროვიზორები და მაგისტრ ფარმაცევტები. პროვიზორის თანაშემწე ებრაელებს და ფერშლებს ებრაელი ჯარის კაცად გაიყვანენ.

— —

ფინანათა სამინისტროში ამ ჟამად იმუშავებენ ახალ გადასახადების პროექტს. ერთი ამ პროექტთაგანი გულისხმობს ყოველგვარ სიმდიდრეზე ერთ პროც. გადასახადის დადებას, რაც ხაზინას მისცემს ყოველწლიურათ 400 მილ. მანეთს. მეორე პროექტი აგებულია შემოსავლის კვალობის სისტემაზე და გულისხმობს რენტის შემოსავალზე 7—50 პროცენტის გადასახადების დაკისრებას. ამასთანავე გადასახადები დაედება შემოსავლის შრომიდან 3 ნახევრიდან 25 პროცენტი. აქედან მოელიან 6 მილიონ მანეთის შემოსავალს. დასასრული მესამე პროექტი ასეთი გადასახადებს აწესებს 20000 მანეთიან შემოსავალზე 2 პროცენტი ხოლო შემდეგ ყოველ 10,000 მ. 100,000 მანეთამდე ემატება თითო პროცენტი.

ომის დღიური.

აღმოსავლეთის ასპარეზის ჩრდილოეთ ნაწილში, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს ბრძოლა შედარებით შესუსტდა და მხოლოდ ზოგიერთ ადგილებშია შეტაკება, მაგრამ თვით ამ ადგილებს იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვთ, რომ ბრძოლა თავის სიმწვავეს არ ჰკარგავს და ოპერაციები არამც თუ არა ცხრება, არამედ უფრო გადამწყვეტ შედეგს უნდა მივიღოდეთ. გერმანელების დემონსტრაციამ რიგას დასავლეთით ეხლა ნაყოფი გამოიღო. მართალია აქ რუსის ჯარი წინ იწევს და აქედან რიგას უკვე საფრთხე არ მოელის, მაგრამ სამაგიეროდ გუშინდელ დეპეშის ცნობით ეხლა კუნძულ დალენის რაიონში მოწინავე რაზმების შეტაკება ხდება. კუნძული დალენი დვინაზეა, რიგას სამხრეთ-აღმოსავლეთით 10 ვერსით. მაშასადამე უნდა ვიფიქროთ რომ მოწინავე რაზმები კუნძულზე გადმოსულან და შეტაკებანი აქა ხდება. შეიძლება ეს მხოლოდ კერძო ეპიზოდია, მაგრამ თვით ადგილს იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს და იმდენად უადვილებს გერმანელებს მდინარის გადმოლახვას, რომ აგრედვე შესაძლებელია ამ კერძო შეტაკებას დიდი შედეგი და ბრძოლა მოჰყვეს. დ. დრისვიატისათვის, დვინსკის დასავლეთით, გერმანელებს მძიმე ზარბაზნები დაუშენიათ, რასაც უფრო დემონსტრატიული ხასიათი აქვს და ნამდვილ შეტევას უნდა მოველოდეთ კუნძულ დალენთან ან და ისკულის რაიონში.

დრისვიატიდან დაწყებული პრიპიატამდე ცვლილება არ მომხდარა და სიწყნარე სუფევს. სამხრეთით ჩარტორისკის და კოლკის რაიონებში დიდი ბრძოლა გაჩაღდა და ავსტრიელები მდ. შუა სტირის ნაპირს მოუახლოვდნენ. გუშინდელ დეპეშის ცნობით შეტაკება ს. პოდგატიეს აღმოსავლეთით ხდება და მდ. სტირის ხიდების წინ. როგორც გუშინდელ წერილში გვქონდა აღნიშნული, ეს რაიონი სად. ჩარტორისკის რაიონია, რომლის მახლობლად მდ. სტირზე ორი ხიდია გადებული, ერთი რკინის გზისა და ერთიც შარაგზისა. სწორედ აქეთკენ არის მიმართული ავსტრიელების ცდა. ამ ხიდებს წინ ჰფარავს მაგარი სანგრები და დეპეშის ცნობით სწორედ ამ სანგრების წინააღმდეგ სწარმოებს მკაცრი და დიდი ბრძოლაა.

დარდანელი მიყუჩდა და ადარა ისმისარა იქიდან. გაზ. „დენში“ მოყვანილია ლექციის შინაარსი, რომელიც ლონდონში წაუკითხავს ცნობილ ინგლისელ სამხედრო კორესპონდენტს ელის აშმედ-ბარტლეტის, რომელიც ეხლახან დაბრუნებულა დარდანელიდან. ლექტორი დაწვრილებით შეხებია დარდანელის ოპერაციის ისტორიას და გულ-ახდილად აღიარებს იმ შეცდომებს, რომელიც მოკავშირეთ ჩაიდინეს და რომელთა მიზეზით ჩაიფუშა ეს მნიშვნელოვანი ოპერაცია, რასაც ბულგარეთის გიმოსვლა და ბალკანეთში საქმის აწეწა-გართულება მოჰყვა. ლექტორის სიტყვით გეგმა დარდანელის ოპერაციისა კარგად იყო მოსაზრებული, მაგრამ აღსრულება სრულიად სათანადო და წესიერი არ იყო. ოპერაციის დაწყებისთანავე სპეციალისტები იმ აზრისანი იყვნენ, რომ მარტო ფლოტით დარდანელის დაპყრობა შეუძლებელია, მაგრამ მოკავშირენი მეტის მეტად ოპტიმისტურად უცქეროდნენ საქმეს და პირველში მარტო ფლოტით შეეჯახნენ და დამარცხდნენ. მოკავშირეთ საკმაო წარმოდგენა არა ჰქონდათ ოსმალეთის ძლიერებისა. ყველას ეგონა ოსმალეთი სულსა ღაფავსო და ნამდვილად კი ოსმალეთს 800,000 ჯარის-კაცი ჰყავდა. შემდეგ ჯარის გადმოსხმაში მოკავშირეებმა საკმაო ენერგია და გამჭრიახობა ვერ გამოიჩინეს. ჯარი ნაწილ-ნაწილ მოჰყვანდათ და არასოდეს საკმაო არა ყოლიათ, გალიპოლის ნახევარ კუნძულს ებრძოლნენ. რუქებიც კი არა ჰქონიათ. [illegible] ადგილობრივ იყო და მთელს ოპერაციის განმავლობაში მოკავშირეთა მოქმედებას თვალყურს ადევნებდა.

თავის დროზე ჩვენს წერილებში განვმარტეთ დარდანელის ოპერაციის მნიშვნელობა და მისი მსვლელობა და შეძლების დაგვარად მისი უარყოფითი მხარენი აღვნიშნეთ. აქ ვიტყვით მხოლოდ რომ ოპერაცია სათანადოდ მოწყობილი და წარმოებული არ იყო, თვით დარდანელის და სტამბოლის საკითხის წამოყენება, მეტადრე იმ სახით, როგორც ეს მოკავშირეებმა ჰქმნეს, უდროო და უმიზნო იყო. არავითარი პოლიტიკური და სტრატეგიული პირობები ამას არ მოითხოვდნენ. ბოლოს და ბოლოს ირკვევა, რომ მოკავშირეთა ჯარი მხოლოდ იკავებს. ბულგარელების ჯარის ნაწილს და ჯერჯერობით არ ძალუძს ან აქტიურად პირდაპირ დაეხმაროს განსაცდელში ჩავარდნილ სერბების ჯარს, ან და ისეთი ზიანი მიაყენოს ბულგარელებს, რომ გავლენა იქონიოს გერმანიის მოქმედებაზე ოსმალეთში მიმავალ გზებით. დიდს გასაჭირშია სერბიის ჯარი და თანდათან იხევს ვიწრო კუნძულში, სამხრეთ-დასავლეთ რაიონში. როეორცა სჩანს, სერბები მხოლოდ იგერიებენ მოპირდაპირეს და საკუთარ ჯარს რამდენადაც კი შესაძლებელია, უფრთხილდებიან იმ იმედით, რომ მოკავშირენი დიდს ძალებს მოიყვანენ ბალკანეთში მდგომარეობა შეიცვლება

(სახ. ფურ.)

ნიშნობა

ბიესა ხუთ სურათად ბრიოლოგით.

ბირშბეინისა.

(პროლოგი)

(შემდეგი იხ. „სამშობლო“ № 214).

სურათი მეოთხე.

(გენახის სახლი. დღეა.)

ბირ. მათხ. (სდგას შუა ოთახში, წასასვლელათ მომზადებული) გადმოვიდემცა თქვენს ოჯახზე მოწყალება მღვთისა! იგი იყოს დამხმარე თქვენი!..

ხანელე. (მათხოვარს) თუ ნახოთ მათხოვრები, გთხოვთ აქ გამოგზავნოთ.

ბესლი. (მათხოვარს რაღაცას უგდებს ჩანთაში) ეს თქვენა გქონდეთ!

ბირ. მათხ. ბედნიერება და სიცოცხლე თქვენ, კეთილო ადამიანო!.. (მიდის)

ბესლი. დამიცადეთ, დამიცადეთ. მე კიდევ.... (გარბის მეორე ოთახში).

ბირ. მათხ. (ხელს აღაპყრობს) ღმერთო, აკურთხე ეს ოჯახი... სწორეთ მამა აბრამის ოჯახია... გაჭირვებულთათვის მუდამ ღიაა კარები...

ბესლი. (გამოაქვს გამოხვეული და უგდებს ჩანთაში) ეს თქვენს ბავშვებს მიუტანეთ!..

ბირ. მათხ. (აღტაცებული) ღმერთო, მადლისა და შეწყალების თვალით გადმოხედე ამ ოჯახს (თავისთვის) სწორეთ მამა აბრამის ოჯახია... მამა აბრამის!..

ბესლი. ყოველის მხრიდან გამოგზავნეთ მათხოვრები მე და ჩემი ოჯახი მზათა ვართ ვემსახუროთ მათ! ჩემი სახლის კარები ღია იქნება ყოველთვის!..

ბირ. მათხ. წმინდა ოჯახი... წმინდა ოჯახი... (მიდის და თან ლაპარაკობს) ასეთი გულკეთილობა ტყვილათ არ დაიკარგება. არა, არასოდეს... იყავით ბედნიერათ! (მიდის). (ბესლი და ხანელე ფანჯრიდან მისჩერებიან მიმავალ მათხოვარს.)

ბესლი. (ხანელეს) ეხლა დროა, შვილო, ჩვენს საქმეს შევუდგეთ!..

ხანელე. მე მანდა ვუცქირო მას, ვიდრე თვალებს არ მიეფარება.

ბესლი. (უძრავათ სდგას; ხელებს იმტვრევს, ხანელეს მისჩერებია; თავს აქნევს.)

ხანელე. (სცილდება ფანჯარას) ისევ მარტო დავრჩით... რათ მიყურებ, დედა, აგრე გაკვირვებით?

ბესლი. (თითქოს ეხლა გამოიარკვაო) დროა ჩვენ საქმეს შევუდგეთ.

ხანელე. მე არ შემიძლია, დედა!

ბესლი. სანთელი რბილია და წმინდა!

ხანელე. შეიძლება დღეს მათხოვრები არ მოვიდნენ!..

ბესლი. (სტოლზე სდებს თაფლსა და ძაფს სანთლის შესამზადებლათ) შემდეგ წაგიყვან ჩემთან და ერთად დავწვეთ! მე მთელ ღამეს ვიფხიზლებ და სულ შენ გიყურებ, ჩემო იმედო... ჩემო მშვენიერო... შენ კიდევ ხელები მომხვიე კისერზე... (ეხვევა) ხომ ჩემთან დაწვები? (გაუშვებს და სანთლის პატრუქს გრეხს.)

ხანელე. არც მე დავიძინებ... ორთავემ ვიფხიზლოთ!.. (სიჩუმეა.)

ბესლი. აი სანთლის პატრუქი, შვილო ჩემო, აღმოსავლეთით აბრუნე და სთქვი: „წმინდა სულო როხელესავ, ილოცე ჩემთვის და ჩემი საქმროსთვის, რომ რისხვა ღვთისა არ გადმოვიდეს ჩვენზე...

ხანელე. ოხ, დედა მაგრე ნუ ლაპარაკობ! მწუხარება მიპყრობს...

ბესლი. აი, სანთელიც მალე მზათ იქნება! აბრუნე ეს და სთქვი: „წმინდა სულო როხელესავ, ილოცე ჩემთვის და ჩემი საქმროსთვის, რომ რისხვა ღვთისა არ გადმოვიდეს ჩვენზე.“

ხანელე. ოხ, დედა ნუ ლაპარაკობ... გული მისუსტდება მის ხსენებაზე... სანთელს დავაბრუნებ და ვიტყვი: „დაიკო ჩემო, როხელევ, ქვეყანა ლამაზი და მშვენიერია... სიცოცხლე სანატრელია... მე მინდა სიცოცხლე, მაგრამ საგვირგვინოთ არ წავალ მე!..

ბესლი. აბრუნე შვილო ჩემო, აბრუნე... ცოდვები სცილდება ჩვენს სახლს. დიდ თორაში მოხდება ქორწინება შენი... აი სანთელი უკვე მზათაა... აბრუნე, აბრუნე და სთქვი: „საყვარელო როხელევ, ცხრაჯერ დავზომეთ შენი საფლავი... ცხრაჯერ დავზომეთ შენი ძვლები... სთხოვე, სთხოვე ღმერთს, დაიხსნას ჩვენი სახლი ცოდვებისაგან.“—ილაპარაკე, ბავშვო ჩემო... შენმა დედამ შესცოდა, რომ გასტეხა ფიცი... ღვთის რისხვა ჩვეზედ გადმოვიდეს... შენ კი დაგეხსნას, სიცოცხლეო ჩემო... (ჰკოცნის).

ხანელე. ოხ, დედა, გული მიწუხს!.. ნუ მასმენ მაგ სიტყვებს! მე ავანთებ სანთლებს და ვიტყვი: „საყვარელო როხელე, ცხრა ჯერ დავზომეთ შენი საფლავი... ცხრაჯერ დავზომეთ შენი ძვლები... ნუ გაქრებით, ნუ გაქრებით სანთლებო... დაე, თქვენი ალი გაიზარდოს და ცაამდის ასწვდეს... გაალვიძოს იქ ანგელოზები და შესთხოვოს ხანელეს თან ერთად, რომ მე საგვირგვინოთ ნუ წავალ!..

ბესლი. მწუხარება შენს დედას! რას ლაპარაკობ ამას!..

ხანელე (ყურს არ ათხოვებს და თავისას განაგრძობს). როხელე, შენი და გაგიკეთებს ფოთლებისაგან პატარა სადგომს, როგორც განდეგილი, ისე იცხოვრებს და როცა დაბრუნდება მასთან საქმრო, ეტყვის, შენ გადიქეცი მერცხლათ რაკი უცხო მხარე გიყვარს შენ... მე ვიქცევი ბულბულათ და გალიაში ჩავჯდები... გაზაფხულზე, როცა შენ მოფრინდები, მოაწყდები ჩემს გალიას, მაგრამ ვერ შემოფრანდები შიგ... მე გიმღერებ სიყვარულის სევდიან ლექსებს!.. (გაშტერდება).

ბესლი. (მწარეთ აქვითინდება).

ხანელე. (კისერზე ჩამოეკიდება დედას) დედა, ნუ სტირი... მე წავალ საგვირგვინოთ!... მითხარი დედა, ვინ იქნება ჩემი საქმრო?

ბესლი. ნასწავლი იქნება ის და ღვთის მადლით გაბრწყინვებული იქნება სახე მისი!..

ხანელე. რა ვუთხრა მე მას, როცა პირველათ ვნახავ?..

ბესლი. ასე უთხარი: „მე ებრაელის ქალი ვარ... გული ჩემი წმინდა და უმწიკვლოა... შენ შეისწავლე წმინდა თორა და მე კი ვილოცავ ღმერთს.

ხანელე. (ამოიოხრებს) მე მას ვეტყვი: „ერთი საქმრო მყავდა მე; ძვლები მისი ლპებიან მიწაში“.

ბესლი. (სტირის) შვილო ჩემო... შვილო ჩემო...

ხანელე. ნუ სტირი დედა. მე ისე მოვიქცევი, როგორც შენა გსურს... მაგრამ როცა მე და ახალი საქმრო საგვირგვინოთ წარვსდგებით, ის ვერც კი შეამჩნევს, რომ ჩემს გვერდით უხილავათ იდგომება ჩემი დავიდლი და ყურში ჩამჩურჩულებს: „ხანელე, შენ ოდესღაც გყავდა პირველი საქმრო... გიყვარდა ის... მაგრამ შენ გასტეხე ფიცი“!..

ბესლი. (ქვითინებს) შვილო ჩემო... რას ამბობ?.

ხანელე. დედა, მე წავალ საგვირგვინოთ და როცა ჩავიცვამ საგვირგვინო ტანისამოსს, ვეტყვი: „მე მყავდა უფროსი დაი—როხელე... შეკერეს მისთვის აბრეშუმის ტანთსაცმელი... სურდათ გვირგვინი დაედგათ მისთვის, მაგრამ ბედი უკეთმა დატრიალდა და მკვდრის ფარჩების ჩაეცვეს მა!..

ბესლი. (სტირის) ვინ ლაპარაკობს ამ სიტყვებს შენი უცოდველი ენით!.. ვინ!..

ხანელე. სიცოცხლე სურს შენს შვილს სიცოცხლეს ეტრფის შენი უბედური შვილი... მაგრამ გვირგვინის ქვეშ კი მასთან ერთად გაჩერდება სიკვდილის ანგელოზი!

ბესლი. (გულში იკრავს ხანელეს) ჩუმათ... ჩუმათ... დედის გული სასიკვდილოთ ღარება მწუხარებისაგან!.. (სიჩუმეა).

(ბესლი და ხანელე გადახვეულნი სხედან) ყრუთ მოისმის ვიოლაცის ძახილი.)

ხანელე. მეშინია!.. მეშინია... (სტირის, როგორც ბავშვი) დედა, დედა... (კისერზე ჩამოეკიდება).

(ფარდა.)

სურათი მეხუთე.

(გენახის სახლი. ღამეა. შანდალში სანთელი ოდნავ ბეუტავს. სტოლზე ერთი კონა წმინდა სანთელი დევს. ბესლი დრო გამოშვებით იცქირება მარცხენა ფანჯარაში. აღელვებულია. კარგა ხანს იყურება ფანჯარაში. დრო გამოშვებით უკან მოიხედავს, თითქო რაღაც საშინელება ელანდებაო. მეორე მათხოვარი გამოდის მახლობელ ოთახიდან, დაფიქრებულია.)

ბესლი. ნუ დასტოვებთ მარტო ჩემს შვილს!..

მეორე. მათხ. არა უშავს რა! ღმერთი მოწყალეა. მეზუზიც*) კარგათაა მიკრული... მე თვითონ ჩემი თვალით ვნახე... კარგი იქნება ხალხი მოგვეყვანა!..

ბესლი. (შეშინებული უცქერის მას) რას ლაპარაკობთ?

მეორე მათხ. ღმერთი თქვენთანა არს! მე ვლაპარაკობ, რომ ღმერთი განკურნავს მას! დილით ხომ კარგა იყო?

ბესლი. რა გინდათ თქვენ ამით სთქვათ?

მეორე. მათხ. არაფერი... საშიში არაფერია. ასეთ წმინდა ოჯახს უფალი არ გაურისხდება. დავიცადოთ დილამდე. დილით განიკურნება. (შედის მეორე ოთახში. ბესლი ისევ მარცხენა ფანჯარაში იცქირება.)

ბენახა. (შემოდის გაფითრებული. აღელ-

*) ებრაელების სახლებში კარებზე ჰკიდებენ ჰვრგამენტის ფიცარს, რაზედაც წერია: „ისმინე ისრაილ!“ ეს მეზუზი იცავს სახლს ბოროტი სულისგან.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიისა და სანოვაგის მომწყობი კომისიის შეერთებულმა კრებამ 3 ნოემბრის სხდომაზე სხვა და სხვა სანოვაგის შემოსატანათ ქუთაისში, ვაგონები ამრიგათ გაიწესრიგა: პურის ფქვილისათვის—6 ვაგონი, სიმინდისათვის—17 ვაგონი, მარილისათვის—2 ვაგონი, თიბისათვის 8 ვაგონი და სხვა და სხვა სანოვაგისათვის 4 ვაგონი.

✦ სვიატოკრესტოვსკის მაზრის წვრილი კრედიტის საერობო კასის გამგეობამ ქუთ. ქალაქის გამგეობას აცნობა, რომ მას შეუძლია ქალაქს მისცეს დიდძალი პურისა და ქერის ხორბალი და სხვა და სხვა ხარისხის პურის ფქვილიც. ქალაქის გამგეობა სთხოვს აცნობოს, თუ რამდენი დასჭირდება ხსენებული სანოვაგე, რომ თავის დროზე ფასი შეატყობინოს.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა ქუთაისის მაზრის უფროსს გაუგზავნა ქუთაისის მაზრის სხვა და სხვა დაბაში გასაგზავნათ საგანგებულო დადგენილება სისუფთავის დაცვის შესახებ, რომელსაც უნდა დაექვემდებარონ ყველა დაბის მცხოვრებლები. ასეთივე დადგენილებები დაიგზავნა ქუთ. გუბერნიის ყველა ქალაქში.

✦ 3 ნოემბერს ქუთაისის ქართულ თეატრში სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს რუსულ ენაზე პიესა „ქურდი“ საკონცერტო განყოფილებით. წმინდა მოგება გადაიდება ქართველ გადმოხვეწილ ებრაელთა სასარგებლოთ. საზოგადოება ბლომათ დაესწრო.

✦ ქალაქის საბჭოს დადგენილება დამტკიცა ქალაქის საქმეთა საკრებულომ. დადგენილების ძალით, ს. ქვარიანს მიეცემა ჯამაგირის სახით 2,700 მ.

✦ **კიდევ უჩალობა.** ოთხ ნოემბერს გათენებისას ზუგდიდის გზატკეცილზე თავს დაესხა უჩალები დელეფონით მიმავალ მგზავრებს და რაც ებადათ სულ ერთიანათ წაართვეს. ზარალი გამოურკვეველია.

✦ გუშინ, 3 ნოემბერს, ბულვარიდან წითელი ხიდით არქიელის გორაზე მიმავალს აკაკი რატიანს დაეკარგა პასპორტი. თუ ვინმემ იპოვნა, სთხოვს მოიტანოს: ან მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში და ან მღვდლის რაჟდენ ხუნდაძის სახლში.

✦ ქუთაისის საგუბერნიო საერობო აგრონომმა 29 ოქტომბერს, დაუგზავნა სახელმძღვანელოდ სამაზრო სარაიონო აგრანომებს: ბბ. რ. გედევანოვს, პალავანდოვს, ბოგდანოვს, გერმანს და პანასეევს ინსტრუქცია მიწის დამუშავების, გაუმჯობესებული წესით სიმინდის თესვის და მოვლის შესახებ.

✦ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ამ დღეებში ქუთაისის ქართულ გიმნაზიას მოსთხოვა მოსამსახურეთა რაოდენობა და მათი ოჯახური მდგომარეობის ცნობა.

✦ ამ დღეებში მოხდება ქარ. შორის წ.-კ.-გ.-საზ. ქუთაისის განყოფილების სტამბის სექციის კრება. კრებაზე ითათბირებენ სტამბის საჭიროებაზე.

სოფლად.

— სოფ. ბეინევში (საჩხერის რაიონი). არჩილ გამსახურდიშვილმა მოკლა ვ. მოდებაძე, მიზეზი მკვლელობისა ის იყო, რომ მოდებაძემ გამსახურდიშვილს ყანაზედ გზა დაუშალა, გულ მოსულმა გამსახურდიშვილმა აიღო კეტი და თავში დაარტყა. მოდებაძე მაშინვე მოკვდა. გამსახურდიშვილი დააპატიმრეს და გადასცეს ადგილობრივ საჩხერის გამომძიებელს. მოდებაძე 40 წლისა იყო, წვრილი შვილით დატვირთული.

საჩხერის ახლო მახლო, სოფლებში ცუდი ენები ათასნაირ ჭორებს ავრცელებენ, თითქო თათარი ან სხვა ვინმე გადმოივლის და ამოგვწყვეტსო. სოფლელებს მართალი გონიათ ეს ხმები და ბევრი სამუშაოს თავს ანებებს.

საჭიროა თვით სოფლის მოწინავე პირებმა ალაგმონ ამისთანა ბნელი ძალები.

ამ ჟამათ აქეთ ღვინის ფასებმა ძლიერ მოიმატა, კოკა ღვინო 20—25 მანეთია (კოკაში 40 ჩარექაა). მიუხედავათ ამისა, რომ ღვინის ფასებმა ასე მოიმატა სოფლებში ისევე მისდევენ ძველ ჩვეულობას, იხდიან ქორწილს, ნათვლას, ორმოცს, და სხვა ზედმეტ ხარჯებს ეწევიან.

თ ფ ი ლ ი ს ი.

ამინდები თბილისში გვარიანია, სიცივემ იკლო, არც ქარი ჰქრის წინანდებური სიძლიერით.

—ქართლის დამშეული სოფლები შუამდგომლობ სანოვაგის მისაწოდებლად.

—კახეთში ღვინის ფასი მუდამ დღე მატულობს, სამალნეს ფასი ამხანად 400 მან. აღწევს.

—რკინის გზებზე მიმოსვლის ფასის გადიდემა მინისტრთა საბჭომ 1916 წლ. 31 დეკემბრამდე ძალაში დასტოვა.

—მინისტრ ბარკის თავჯდომარეობით ამ მოკლე ხანში მოხდება თათბირი ახალი გადასახადების შემოსაღებად.

— ომში ვეჟაკობის გამოჩენისთვის ანას მე-2 ხარისხის ჯვრით დაასაჩუქრეს უფროსი ექიმი ალექ. მინსვეტაშვილი.

—შაქარი თბილისში ნაკლებად შემოდის.

—ბრძოლის ველზე მიღებულ ჭრილობისაგან გარდაიცვალენ ოფიცერი ი. მისხაშვილი და ოფიცერი მიხ. თოფურია.

—მინისტრთა საბჭოს დადგენილებით მოპირდაპირე ქვეყნებიდან სხვადასხვა სახის სანოვაგის შემოზიდვის შეწყვეტა ჯერჯერობით გადაიდო.

—პეტროგრადში ქალები განათლების მინისტრის წინაშე შუამდგომლობენ, რათა ისინიც, როგორც ვაჟები უეგზამენოდ მიიღებოდენ უმაღლეს სასწავლებლებში,

—თბ. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, საჭიროა სესხის აღება. სესხი ერთ მილიონს უდრის.

—სოფ. ურბნისი. აქეთ ყაჩაღები დათარეშობენ და ისედაც შევიწროებულ ხალხს თავზარს სცემენ, საჭიროა მათ ასალაგმავად ზომების მიღება.

— ჯარისკაცთა და მშობელთა საყურადღებოთ. როგორც ვიცით, 1897 წელში დაბადებულთ ახლო მომავალში გაიწვევენ ჯარში. მთავრობა ამის გამო აცხადებს, რომ მამის ერთა ახალგაზდები, რომელიც პირველი ხარისხის შეღავათით სარგებლობენ, ჩარიცხულ იქნებიან მეორე ხარისხის მოლაშქრეებათ (ლურჯ ბილეთიანებათ). იმ შემთხვევაში, თუ ლურჯ ბილეთიანები დასახელებულ რაიონიდან ჯარში გაწვეულია, ამ ახალგაზდების ოჯახებს მიეცემა დახმარება იმავე წესით, როგორც ეს სათადარიგო ჯარისკაცთა ოჯახებს ეძლევა. ასეთივე შეღავათით სარგებლობენ ის ახალგაზდებიც, რომელნიც 1896 წელში დაბადებულან და ჯარში უკვე გაწვეულნი არიან. ისინი საჭირო დოკუმენტებს შემდეგ გადარიცხულ იქნებიან ლურჯ ბილეთიანებათ. რომ ჯარში გასაწვევი ან უკანასკნელი გაწვევის დროს ჯარში ჩარიცხული შამის ერთა და პირველი ხარისხის შეღავათით სარგებლობს, ამის შესახებ მოწმობა უნდა აიღონ სოფლის მამასახლისებისაგან, მაზრის უფროსებისაგან ან-და სამაზრო მარშლებისაგან.

— თეთრბილეთიანები და ლუჯ ბილეთიანები. მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა ხელმეორეთ შეამოწმონ უკანასკნელი 14 წლის განმავლობაში ჯარში გასაწვევი პირები, რომელთაც თეთრი ბილეთი მიეცათ და სამსახურისთვის სრულიად უვარგისათ იქნენ ცნობილი. შემოწმება დაიწყება 1903 წლიდან. თუ თეთრ ბილეთიანი სამსახურისთვის სავარგისათ იცვნეს, მათ ლურჯ ბილეთიანებათ ჩარიცხავენ და ჩვეულებრივ წესით გაიწვევენ ჯარში. ჯერ გადაწყვეტილი არაა ეს კანონპროექტი რა გზით განახორციელონ. შეიძლება, ამისთვის ძირითადი კანონების 87 მუხ. მიმართონ, არა და უფრო მოსალოდნელია შესაფერი კანონპროექტი სახელმწიფო დუმას წარუდგინონ. საბოლოოთ გადასწყდა ჯარში გაიწვიონ მხოლოდ ის ლურჯ ბილეთიანები, რომელნიც 1903 წელში და შემდეგ გამოცხადდენ სამხედრო ბეგრის მოსახდელათ. უფრო ხანშესულ ლურჯ ბილეთიანებს, ე. ი. ვინც 1903 წლამდე იყო შეტანილი ჯარში გასაწვევთა სიაში, სამხედრო სამსახურში არ გაიწვევენ. თ. ა.

— პური თბილისში კვლავ არ იშოვება, ფურნეთა წინ მთელი დღის განმავლობაში დიდ ძალი ხალხი სდგას. დედაკაცები მცირე წლოვან ბავშვებით სდგანან პურის საცხობის წინ და მოსთქვამენ. პურის საცხობებს კარი და ფანჯრები თითქმის ყველგან ჩალეწილი აქვს. დიდ განსაცდელშია მდაბიო-მუშა ხალხი. ბევრი ლობიოთი და კარტოფილით საზრდოობს.

— საქართველოს ექსარხოსი ყოვლად მაღალ უსამღვდელოესი პატრიარქი უკვე გაემგზავრა ქ. პეტროგრადს საზამთრო სესიაში მონაწილეობის მისაღებად.

— პეტროგრადს წავიდა კახეთის რკინის გზის საქმეთა გამგე ნიკ. ნიკოლაძე.

— ამ მოკლე ხანში პეტროგრადში უნდა გამოაქვეყნონ კახეთის რკინის გზის საესპლოატაციოდ გადასვლა.

— **სახელმწიფო სათათბიროს მოწვევა** პეტროგრადში ჰფიქრობენ სახ. სათათბირო 25 გიორგობისთვის იქნება მოწვეული.

— ბრძოლის ველზე გაიწვიეს ქართულ თეატრის მსახიობნი: ი. ქავიძე, ალ. შანშიევი და გომელაური.

— თბილისის გუბერნიაში ცნობილ მემამულის ჰურესფონ კუჩენბახის ერთ ერთ მკვლელთაგანს მელიქიშვილს თბ. სამოსამართლო პალატამ ჩამოხჩობა მიუსაჯა.

ბ. ლუკაშვილმა, რომელიც დამშეულ კახეთისთვის საკვების საშოვნათ იყო წასული ჩრდილო კავკასიაში 40 ვაგონის ხორბლის შემოტანა უკვე მოახერხა.

ხოლერა თბილისში კვლავ მძვინვარებს.

— ამინდები თბილისასკენ უვარგისია ერთ დღეს, რომ ცოტაი გამოიდარებს მეორე დღეს უთუოდ გაწვიმდება.

სათეატრო ქრონიკა.

დღეს 5 ნოემბერს, ქალაქის თეატრში „ქართულ დრამის“ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება ბ. რეველად ტრ. რამიშვილის ახალი ორგინალური პიესა „სალომეს ოჯახი“ ჩვენის ინტელიგენციის ცხოვრებიდან. წარმოდგენას დაწყებამდე შ. დადიანი წარმოსთქვამს რამდენიმე სიტყვას პიესის შესახებ. უმთავრეს როლებს შეასრულებენ: ქ. ქ. მ. მდივანი, ო. ღოღობერიძე, ბ. შალთაძე; ბ. ბ. გვარაძე, დადიანი, კორიშელი და მურუსიძე.

——

მისი უგანათლებულესობის თ-დი გ. შერვაშიძის ისტორიულ პიესის „გიორგი მესამე“-ს რეპეტიციები უკვე დაიწყო „ქართული დრამის“ მსახიობთა ამხანაგობამ.

——

„ქართული დრამის“ მსახიობთა ამხანაგობის დასში ბენეფისები ამ თვიდან დაიწყება. პირველი ბენეფისი იქნება ქ-ნ ელო ანდრონიკაშვილის. ბენეფისის პროგრამა ცალკე იქნება გამოცხადებული.

საეურადღებო კრება.

ორშაბათს, 2 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, ქუთაისის რეალურ სასწავლებლის შენობაში შესდგა პირველი კრება, მშობელთა წრის ახლათ არჩეულ გამგეობისა, რომელმაც იქონია მსჯელობა წრის საშუალებათა გასაძლიერებლათ და დადგინა: მიემართოს ქუთაისში და ქუთაისის გარეშე მცხოვრებ მშობლებს რეალური მოწაფეებისას—ჩაეწერონ წევრებათ, რისთვისაც წლიურათ უნდა იხადონ ორ-ორი მანეთი და ახლო მომავალში გაიმართოს სალიტერატურო და სამუსიკო საღამო, რის ნებართვაც ეთხოვოს ოლქის მზრუნველს. აღნიშნული საქმისათვის არჩეულ იქნა განსაკუთრებული კომისია. 1) მოწესრიგებულ იქნეს ღარიბ მოწაფეთათვის დახმარება—სწავლის ფულისგან გასანთავისუფლებლათ და აგრეთვე უფასო საუზმის მოსაწყობათ, რისთვისაც არჩეულ იქნა აგრეთვე განსაკუთრებული კომისია, რომელმაც ერთი თვის განმავლობაში უნდა წარუდგინოს გამგეობას დაწვრილებითი მოხსენება. 2) აღიძრას შუამდგომლობა ოლქის მზრუნველის წინაშე—გავრცელებულ იქნეს კავკასიის ოლქის შკოლებზე, განათლების მინისტრის ცირკულიარის ძალა 14 აგვისტ. 1915 წ. უფორმო ტანისამოსის ტარების შესახებ განსაკუთრებულ დრომდის. 3) მორიგი კრებება უნდა მოხდეს ხომლე ხუთშაბათობით და ყოველ კვირაობით.

პროვინციის ცხოვრება.

(ჟურნალ-გაზეთებიდან.)

ს. ურბნისი (ქართლი). პურის, ქერისა და ღვინის მოსავალი აქ ძალიან ნაკლები იყო, თითქმის სულ უმნიშვნელო. სამაგიეროთ სიმინდი კარგათ მოვიდა, მაგრამ რა გაშოვიდა. სოფლის ჩარჩებმა ამის ალღო აიღეს და სურთ სიმინდი ჩალის ფასათ გამოაცალონ ხელიდან საწყალ გლეხს. თავის მიზნის განსახორციელებლათ ათასგვარ ხრიკებს ხმაროობენ: გერმანელები მოვლენ, თუ ფული არ გექნა გასაქცევათ, თავს ვერ უშველი, მეკი, სიკეთეს გიშვები, ფულს გაძლევ, სიმინდი რა თავში სახლელათ მინდა, ოხრად დაგრჩებაო, ეუბნება ჩარჩი გლეხს. გლეხსაც მისი სიტყვები სჯერა და მახეში ყოფს თავს.

მართალია, აქეთ ქურდობა არ იციან, მაგრამ სამაგიეროთ ერთი ცუდი სენია გავრცელებული: გადაწვა ვენახის და გადაჩეხვა ხეხილის ჩვეულებრივ მოვლენათ გადაიქცა.

საჭიროა, ადგილობრივმა შეგნებულმა პირებმა, ადმინისტრაციამ და თვით ხალხმა ენერგიული ზომები მიიღონ, როგორც ამ უკანასკნელი ბოროტმოქმედების აღმოსაფხვრელათ, ისე ჩარჩების ასალაგმავათ.

——

ს. ბეკამი. (გორის მაზრა). ამ სოფელს უწყლობა ძალიან უშლის ხელს წინმსვლელობისათვის. წყლის უქონლობამ ისე შეავიწროვა ადგილობრივი მკვიდრნი, რომ დიდი და პატარა, ქალი თუ კაცი მოწადინებულია, რაც უნდა დაუჯდესთ, წყალი გამოიყვანონ. ამ მიზნის განსახორციელებლათ ერთი პატივცემული

ვებულია, კარებთან ჩერდება. თავს ძირს ჩაჰკიდებს.)

პესლი. რა მოხდა?

გენახი. (უიმედოთ) ცუდათაა საქმე!..

პესლი. შენ თვითონ ნახე? სიჩუმეა.

გენახი. დიახ, ჩემი თვალებით ვნახე... ყველაფერი ვნახე... წისქვილის აღმოსავლეთისკენ იყო... ეხლა კი... შეხედე... (ფანჯარაში იცქირებიან ორთავენი) შეიძლება თვალი მატყუებს!...

პესლი. ეხლა ბორბლები ჩვენი სახლისკენ აქვს...

გენახი. დიახ, დასავლეთით, ჩვენ სახლისკენ!.. (სცილდება ფანჯარას) ცუდია, ცუდი... განა მე თვითონ არ ვთხოვდი მას პატივებას?!. განა მე არ ვიყავ, რომ ცრემლებით ვასველებდი მის საფლავს!... სხვა რა უნდა ჩემგან?... რათ არის, რომ აგრე ჩამცივებია... რათ?...

პესლი. გენახ, შენ სცოდებ!..

გენახი. ცხოვრება,—ცხოვრებისთვის... დაე იყოს ასე... მე სამაგიეროს არ გადვუხდი!...

პესლი. (ფანჯარიდან იხედება და სშეინას იმახვილებს) მე მგონია, წისქვილი ჭრიალებს... თითქოს აბრუნებენ კიდეც!...

გენახი. (შორე ახლოდან) ფანჯარაში იხედება. შეშინებული) დიახ, ბრუნავს... ბრუნავს!.. ადამიანის სულსა გვთხოვენ... ადამიანის!..

პესლა. მანამდე დედას მისს თვალები დაუდგეს.

მეორე მათხ. (მეორე ოთახიდან გამოდის შეწუხებული) თქვენ სცოდებთ ღმერთს... მე მგონია ხანელე სახეზე შეიცვალა... (ცოტა ჩაფიქრების შემდეგ) სულ რაღაც ელანდებოდა!. მხოლოდ ეხლა ჩაეძინა... მაგრამ ძილშიაც ვერ ისვენებს...

გენახი. (ჩაფიქრებული სდგას და თანდათან ფითრდება.

პესლი. (ოთახისკენ გარბის).

პესლი. (ისმის პესლის ძახილი) გენახ... მალე, მალე... მოდი...

გენახი. (ვერ გადაუწყვეტია წაკიდეს, თუ არა).

პესლი. (ყვირის გენახ, უბედურება გვეწია ჩვენ...

გენახი. (ხელს ჩაიქნევს და მიდის) გათავდა... ყოველივე გათავდა!..

მეორე მათხ. (მეზუზს ასწორებს. რაღაცას ბუტბუტებს).

გენახი. (გაბორბის და მათხოვარს კისერზე ჩამოეკიდება) მე, მეწისქვილე გენახი, ცოდვილი ვარ... ცოდვილი... მიშველე... დამეხმარე...

მეორე მათხოვ. გენახ, წამოდი... ადგილი გამოვცვალოთ*). იქნება ღმერთი შეგვეწიოს... შემოვიტანოთ აქ!..

პესლი. (გამწარებული ყვირის) გენახ... გენახ... (გენახი და მთხოვარა ავთმყოფთან გავლენ. ცოტა ხნის შემდეგ შემოაქვთ ლოგინით ხანელე. პესლი უკან მოყვება და ჩუმათ ქვითინებს...

პესლი. (ხანელეს) ამ წამიდან მოგშორდება შენ ბოროტი სული... კარგათ შეიქნები. (ლოგინს შუა ოთახში დგამენ)

ხანელე. თვალებ დახუჭული წევს... სახეზე წამოწითლებულია).

გენახი. აღმოსავლეთით, კედელთან დავდგათ?

მეორ. მათხ. აღმოსავლეთით... დიახ ასე სჯობს. აღმოსავლეთით ყველა ლოცვა იქნება შეწირული...

პესლი. (ქვითინით) არა... არა... შუა ოჯახში სჯობს... (ლოგინს ირგვლივ შეოგესევიან).

ხანელე. ყველა აქ მოგროვდით... ყველა...

პესლი. (ქვითინებს) ღმერთო, მოწყალეო...

გენახი. (ხმამაღლა) გენახ... მთელი სახლი თავზე გეჭცევა... მთელი სახლი...

პესლი. დაჩუმდი... დაჩუმდი... (ცრემლებს იმაგრებს).

მეორე მათხ. დაჩუმდით... ენა არ დასძრათ...

ხანელე. (სულთმობრძავათ) მომიტანეთ ჩემი თეთრი ტანსაცმელი... საქორწინო ტანსაცმელი. (ყველა დაჩუმებულია)

ხანელე. (თითქო ბოდავს) გამიკვთეთ თმა... მომიტანეთ ლეჩაქი.

გენახი. (ხმა მაღლა პესლს) როცა თხოულობენ, უარი არ შეიძლება!..

პესლი. (აძლევს გენახს ნიშანს, რომ დაჩუმდეს).

ხანელე. მომიტანეთ საქორწინო სამკაული, მომიტანეთ..

პესლი. ღმერთო... ღმერთო... აგრე რათ დამტანჯე... რათ...

ხანელე. (უფრო გარკვეული და ბრძანების კილოთი) რათ სდუმხართ! მომიტანეთ საქორწინო ტანისამოსი. . დავიდული ჩემს თავთან სდგას (წამოიწევს და ათვალიერებს არ მაძლევს მოსვენებას... აი ის... (ხელით ეძებს) ეხლავე წამოდი საქორწილოთაო. მეუბნება... თქვენ ვერ ხედავთ! აი, აი.. (ეძებს. სიჩუმეა.) (ერთი მეორეს შესცქერიან. სახეზე ყველას ნაღველი და მწუხარება ეტყობა. პესლი ჩუმათ ქვითინებს).

პესლი. დაწყნარდი... სიცოცხლეო ჩემო. (ჰკოცნის) დღე და ღამე შეგწყნარებლად ვილოცავ შენთვის (ცრემლები ერევა).

ხანელ. (ყვირის) მომიტანეთ საქორწინო ტანისამოსი... მომიტანეთ...

გენახი. (მოსატანათ გადის).

ხანელ. (აბნეულათ) მომიტანეთ... მომიტანეთ..,

მეორე მათხ. უნდა დაუჯეროთ... უნდა...

გენახი. (გამოაქვს საქორწინო ტანისამოსი) ჩაცვით!.. (აცმევენ).

ხანელ. (აბნეულათ ჩაცმის დროს) მე ეს კანონპროექტი რა გზით განახორციელონ. შეიძლება, ამისთვის ძირითადი კანონების 87 მუხ. მიმართონ, არა და უფრო მოსალოდნელია შესაფერი კანონპროექტი სახელმწიფო დუმას წარუდგინონ. საბოლოოთ გადასწყდა ჯარში გაიწვიონ მხოლოდ ის ლურჯ ბილეთიანები, რომელნიც 1903 წელში და შემდეგ გამოცხადდენ სამხედრო ბეგრის მოსახდელათ. უფრო ხანშესულ ლურჯ ბილეთიანებს, ე. ი. ვინც 1903 წლამდე იყო შეტანილი ჯარში გასაწვევთა სიაში, სამხედრო სამსახურში არ გაიწვევენ. თ. ა.

— პური თბილისში კვლავ არ იშოვება, ფურნეთა წინ მთელი დღის განმავლობაში დიდ ძალი ხალხი სდგას. დედაკაცები მცირე წლოვან ბავშვებით სდგანან პურის საცხობის წინ და მოსთქვამენ. პურის საცხობებს კარი და ფანჯრები თითქმის ყველგან ჩალეწილი აქვს. დიდ განსაცდელშია მდაბიო-მუშა ხალხი. ბევრი ლობიოთი და კარტოფილით საზრდოობს.

— საქართველოს ექსარხოსი ყოვლად მაღალ უსამღვდელოესი პატრიარქი უკვე გაემგზავრა ქ. პეტროგრადს საზამთრო სესიაში მონაწილეობის მისაღებად.

— პეტროგრადს წავიდა კახეთის რკინის გზის საქმეთა გამგე ნიკ. ნიკოლაძე.

— ამ მოკლე ხანში პეტროგრადში უნდა გამოაქვეყნონ კახეთის რკინის გზის საესპლოატაციოდ გადასვლა.

— **სახელმწიფო სათათბიროს მოწვევა** პეტროგრადში ჰფიქრობენ სახ. სათათბირო 25 გიორგობისთვის იქნება მოწვეული.

— ბრძოლის ველზე გაიწვიეს ქართულ თეატრის მსახიობნი: ი. ქავიძე, ალ. შანშიევი და გომელაური.

— თბილისის გუბერნიაში ცნობილ მემამულის ჰურესფონ კუჩენბახის ერთ ერთ მკვლელთაგანს მელიქიშვილს თბ. სამოსამართლო პალატამ ჩამოხჩობა მიუსაჯა.

ბ. ლუკაშვილმა, რომელიც დამშეულ კახეთისთვის საკვების საშოვნათ იყო წასული ჩრდილო კავკასიაში 40 ვაგონის ხორბლის შემოტანა უკვე მოახერხა.

ხოლერა თბილისში კვლავ მძვინვარებს.

— ამინდები თბილისასკენ უვარგისია ერთ დღეს, რომ ცოტაი გამოიდარებს მეორე დღეს უთუოდ გაწვიმდება.

---

*) ებრაელებს სწამთ, თითქო ბოროტი სული ერთ ადგილს მოქმედობს და თუ სნეულს ადგილი გამოუცვალე,—განიკურნებაო.

გავტეხე ფიცი... ვუღალატე მას... ის მოკვდა ჩემი მიზეზით... მას იქ არ აყენებენ... ჩემთან გზავნიან რომ მეც თან წამიყვანოს... მეც... მეც...

მეორე მათხ. (თავს აქნევს) ღვთის ნება... ღვთის ნება.... უნდა გავუგონოთ!..

გენახი. მე მორჩილი ვარ... უფლის მონა...

პესლი. (ჩუმათ ქვითინებს) ღმერთო, ჩემი თავი შეიწირე მის მაგივრათ...

ხანელ. ლეჩაქი... ლეჩაქი...

გენახი. მზათა ვარ, სიცოცხლეო ჩემო... (ერთ წუთში გამოაქვს ფატა და თავზე ახვევს).

პესლი. (შესცქერის გენახს აუწერელი მწუხარებით. თავისთვის) ღმერთო... ღმერთო... (ქვითინებს).

ხანელ. (ბოდავს) მოუკიდეთ ყველა სანთლებს...

გენახი. (იღებს სტოლზე დაწყობილ სანთლებს და შანდლებში ანთებს).

ხანელ. (სულთმობრძავი) მოუკიდეთ სანთლებს... დადექით ახლო...

გენახი. (შეორე ოთახში გარბის. ყველა თვალს გააყოლებს).

ხანელ. (მომაკვდავის ხმით) აანთეთ სანთლები... მომიახლოვდით...

პესლი. (ანთებულ სანთლით თავთან დგება). ღმერთო... ღმერთო... ასე რათ დამტანჯე... რათ?.. (ქვითინებს).

გენახი. (ოთახიდან გაშტერებული გამოდის. სახე ერთიან გაშეშებული აქვს. საშაბათო ტანსაცმელშია გამოწყობილი. ლონე მიხდილათ.) მეც მომეცით სანთლები... მეც (უკიდებს სანთელს) მე ბზათა ვარ... გენახ მეწისქვილე... შენი მამა... შენთან მოდის!.. (ულონოთ ეცემა ლოგინზე. საერთო ქვითინი).

(ფ ა რ დ ა.)

ლ. ძიძიგური

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანდილოსნის მეთაურობით ქალებმა სამ თუმნამდი მოაგროვეს და ამ ფულით ინჟინერი მოიწვიეს იმის გამოსარკვევათ, თუ რა დაუჯდება სოფელს წყლის გამოყვანა. მცხოვრებლების თხოვნით საადგილ-მამულო კომისიამ 25 ოკტომბერს, გამოგზავნა ინჯინერი დიასამიძე და ტეხნიკი რჩეულიშვილი, რომელთაც დაწვრილებით ხარჯაღრიცხვა შეადგინეს. საქმე უკვე გამოწყობილია, მხოლოდ საჭიროა სოფლისათვის კრედიტის გახსნა და დახმარება, თორემ ამ საერთო კრიზისის დროს სრულიად თავისი ხარჯით ამ ხაქმის დაგვირგვინება არ ძალუძთ.

ადგილობრივ მემამულეს კ. ამირეჯიბს განუზრახავს თავისი ტყის გაყიდვა. ბეკამის მცხოვრებლებმა ყოველგვარი ღონე უნდა იხმარონ, რომ ტყე სხვის ხელში არ გადავიდეს. აქაც, ამ საქმეში, საადგილმამულო კომისიამ დიდი დახმარება უნდა აღმოუჩინოს ამ სოფლის მცხოვრებთ.

——

ს. დარჩელი. (ზუგდიდის მაზრა). წრეანდელმა ნიაღვრებმა დარჩელის მიდამოები სრულიად წალეკა. მოსავალი აქ სრულებით არ იყო. ხალხის სასოწარკვეთილებას საზღვარი არა აქვს. ამ გარემოებამ გამოიწვია ხალხის კრება, რომელმაც ბ. მომრიგებელ-შუამავლის წინადადებით, აირჩია ოცის თავები სასურსათო დახმარების რაოდენობის გამოსარკვევათ.

——

ს. ნიგოითი. (გურია). ოკტომბრის ბოლო რიცხვებში ნიგოითის საზოგადოების ყრილობა მოხდა იმის გამოსარკვევათ, თუ როგორი ღონისძიება მიეღოთ შიმშილობის თავიდან ასაცილებლათ. ყრილობამ გადასწყვიტა ადგილობრივ შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ სასურსათო თანხიდან მიეცეს მათ სესხის სახით დახმარება. ბ. ბოქაულის წინადადებით განჩინება დაადგინეს და თითოეულმა სოფელმა ამოირჩია ცალცალკე კომისია იმის გამოსარკვევათ, თუ ვის რამდენი დახმარება ეკივრება. ხალხმა კომისიებს დაავალა პირნათლათ შეასრულონ თავისი მოვალეობა და შესაფერი შუამდგომლობაც აღძრან, სადაც ჯერ არს დახმარების მიცემაზე, შიმშილობაზე განაჩენი დაადგინეს აგრეთვე აზნაურებმა და სასულიერო პირებმა.

დეპეშები.

(ჰეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

რომი. 2 ნოემბერი. მთავარი ბინის ცნობა. ლედროს ჭალაში, ძლიერი საარტილერიო სროლის შემდეგ, იერიში მოიტანა ჩვენს პოზიციებზე კონკაბეცკის ჩრდილოეთით. იერიშები მოგერებულ იქნა. 1 ნოემბერს იერიშები უფრო მეტი სიმწვავით გაეახლა მტერმა, მაგრამ უშედეგოთ. საარტილერიო სროლა კარსოზე გუშინ, მთელი დღის განმავლობაში გძელდებოდა. მტერმა თითქმის ყველა ყალიბის ზარბაზნებიდან დაუშინა განუწყვეტელი ცეცხლი ეგრეწოდებულ ფრაქსეს თხრილს, საიდანაც უნდოდა გამოედენა ჩვენი ქვეითა ჯარი, მაგრამ ძლევა მოსილმა სარდინელებმა მედგარი წინააღმდეგობა გხუწიეს მტერს თავის პოზიციებზე, შემდეგ უაღრესი აღფრთოვანებით იერიშით აიღეს სტრატეგიულის მნიშვნელობის ფრიად საჭირო თხრილი მტრისა და ტყვეთ წამოიყვანეს 278 კაცი 11 აფიცრით.

ცეტინიე. 2 ნოემბერი. ოფიციალური ცნობა, მთელს ფრონტზე მტერმა იერიში მოიტანა სანჯაკის ჯარის წინააღმდეგ, მაგრამ იერიში მოგერებულ იქნა ყველგან გარდ ვიშეერადის შიძართულებისა, სადაც ჩვენ დავიხიეთ და სუკეთესო პოზიციები დავიკავეთ. ავსტრიელებმა ამ ბრძოლაში დიდი ზარალი ნახეს დანარჩენ ფრონტზე საარტილერიო სროლაა.

პარიზი. 2 ნოემბერი. საღამოს ოფიციალური ცნობა. არტუაში საარტილერიო ბრძოლა გძელდებოდა ქვეითა ჯარის დაუხმარებლათ. პირველ ნოემბრის ბრძოლებს შედეგათ მოყვა ის, რომ ლაბირინტეში ჩვენი თხრილების წინ დავითვალეთ 219 გვამი დახოცილ მტრისა. ჩვენ ყუმბარები დავუშინეთ სადგურ რუსთან მდგომს მატარებელს. არტილერიის ბრძოლამ სუასონის რაიონში, ბერიობაკის მიდამოებსა და არგონებში მწვავე ხასიათი მიიღო. არგონებსა და მღ. მაჯს შუა ჩვენი ბატარეია მოხერხებულათ უშენდა ცეცხლს გერმანელების საველე სიმაგრეებს, ბოტენკურიდან ჩრდილო აღმოსავლეთით და ვევრში რენვილის ჩრდილოეთით მტრის ყუმბარების მტყორცნელებს.

ბალკანეთის ფრონტი. რაბროვოს რაიონში და კრივოლაკის მიმართულებით 31 ოკტომბერს ხანგამოშვებით საარტილერიო სროლა სწარმოებდა. ბულგარელები თავის უნაყოფო იერიშებს განაგრძობდენ. ჩვენ ჯარსა ლ სერბიელების რაზმებს შორის, რომელნიც პრილეკის რაიონში მოქმედებენ კავშირი აღვადგინეთ, რომელიც დღითიდღე ფართოვდება. დარდანელთან 17 ოკტ. 2 ნოემბრამდი არსებითი ცვლილება არ მომხდარა. ოსმალთა არტილერია და ქვეითა ჯარი ხანგამოშვებით მოქმედებდა. ორივე მოპირდაპირე მხარემ თავისი ფრონტი გაამაგრა სხვა და სხვა სიმაგრით და ახლაც გძელდება ფრონტების გამაგრება. ბევრ პუნკტზე ნაღმებით ბრძოლაა. ჩვენ წინ წავსწიეთ ჩვენ სეკტორები და ხელი შევუშალეთ ოსმალელ მუშებს თხრილებზე მუშაობის დროს. ინგლისის მონიტორები ზღვიდან ყუმბარებს უშენდენ ოსმალოების სიმაგრეებს გალიპოლიში.

ევრი. ბელგიის ცნობა. მთელს ფრონტზე ხანგამოშვებით საარტილერიო ბრძოლა გრძელდებოდა, განსაკუთრებით უნიონის ფერმასთან და რულესკერკეს, შოორბაკეს, სტკიენსკერკესა და ლეტენბურგის მიდამოებში.

დღის ოფიციალური ცნობა.

არტუაალაბირინტეში მთელი ღამის განმავლობაში თოფით სროლა იყო. ამასთანავე იყო ბრძოლა ხელით სასროლ ყუმბარების საშუალებითაც. მტკიცდება, რომ პირველ ნოემბერს მომხდარ ბრძოლის დროს მტერმა დიდი ზარალი ნახა. შამპანში მტერი შეეცადა ხელით სასროლ ყუმბარებით გაერღვია მავთულიანი ღობეები, რომელიც სადარაჯო პუნკტების წინ იყო გაკეთებული, მაგრამ ცდამ უნაყოფოთ ჩაუარა. ვევრში, სირეს ჩრდილოეთით ერთ ერთი ჩვენი ნაღმის აფეთქების წყალობით და არტილერიის ძლიერი ცეცხლის დახმარებით მტრის სანაღმო სიმაგრეები გავანადგურეთ.

ბალკანეთის ფრონტი. 30 ოკტ. რაბროვოს ჩრდილოეთით ჩვენ წინ წაიწიეთ კოსტურინისაკენ. ბულგარელებმა ენერგიული იერიში მოიტანეს მთელს ფრონტზე ცრნის მარცხენა ნაპირზე, მაგრამ დიდი ზარალით მოგერებულ იქნენ.

რომი. 1 ნოემბერი დილით ავსტრიელთა ჰაეროპლანებმა 115 ყუმბარა ჩამოაგდეს ვერონაში, მოკლულია 28, მძიმედ დაჭრილია 31, მსუბუქად 11.

ბუქარესტი. 31 ოქტომბერი. სოფიიდან იუწყებიან, რომ იმპერატორ ვილჰელმის განკარგულებით ფელდმარშალმა მაკენზენმა ბულგარეთის მთავარ ბანაკს აცნობა: ყოველივე ნადავლი, რომელსაც მოკავშირეთა ჯარი ხელთ იგდებს სერბიაში, ბულგარეთს გადაეცემაო.

ციტინიე. 1 ნოემბერი. უკანასკნელ დღეების განმავლობაში სასტიკი ბრძოლები ხდება გრახოვოს პირზე და ბოსნიის ზოგიერთ ადგილებში, ჰერცოგოვინაში მტერმა შავმთიელთა პოზიციებს ძლიერ დაუშინა არტილერია და მათ წინააღმდეგ რამდენიმე გააფთრებული იერიში მიიტანა, მაგრამ ვერას გახდა და დიდადაც დაზარალდა. შავმთიელებმა დაატყვევეს დიდძალი ავსტრიელი, ხელთ იგდეს რამდენიმე ტყვიის-მფრქვეველი, დიდძალი სურსათ-სანოვაგე და ორი ჰაეროპლანი.

თეირანი. 1 ნოემბერი. შაჰმა მოისურვა რუსეთის ელჩის ნახვა და დღეს მიიღებს. სპარსელები ამას დიდ მნიშვნელობას აძლევენ.

რუსეთის საელჩომ გამოაქვეყნა სპარსეთის ხალხისადმი მიმართვა, რომელშიაც აღნიშნულია, რომ რუსეთმა ძლიერი რაზმი გაგზავნა როგორც რუსეთისა, ისე თვით სპარსეთის მტრების საწინააღმდეგოდ. რუსეთის მთავრობა შაჰის მთავრობასთან შეთანხმებით იძულებულია ბოლო მოუღოს ავსტრია-გერმანელთა და ოსმალთა გამათახსირებელ აგიტაციას, რათა განამტკიცოს მეგობრული კავშირი ორთავე ქვეყნისა. სპარსელებმა უნდა იცოდნენ, რუსის ჯარის იარაღი მათკენ და მათ ოჯახების წინააღმდეგ არ არის მიმართული, რუსეთის იარაღი აღმართულია ყველა აგიტატორის წინააღმდეგ, აგრედვე მათ წინააღმდეგაც, ვინც ანგარების მიზეზით კავშირით შეეკვრნენ ჩვენ მტრებსა და ვისი მტრული გამოსვლა ჩვენს წინააღმდეგ გამოააშკარავებული იქნება.

თეირანი. 2 ნოემბერი. (სასწრაფო) მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ კაზაკების ბრიგადის უფროსს განუცხადა, თითქოს შ.ჰს სურვილი ჰქონდა დღეს დილით ქალაქიდან წასულიყო. მინისტრების თანხლებით. თუ ეს გამართლდა, მაშინ თეირანი კაზაკების ბრიგადისა და პოლიციის ამარა დარჩება. როგორცა სჩანს, ყანდარმერიაც წასასვლელად ემზადება.

ხონის ოლქის სარწყავი წყლის შესახებ.

15 ნოემბერს დანიშნულია ხონის სარწყავი წყლის მონაწილეთა კრება. ასარჩევია მირაბი, მისი კანდიდატი და რჩევის წევრები და სხვა. მოკლეთ წყლის ისტორია ასეთია: იგიგამოყვანილია მათხოჯ კონტევთზე მოდინარე ცხ. წყლიდან და ჩამოდის ჭულაში სამტრედია იანეთზე. მოფენილია არხებით შემდეგი სოფლები: მათხოჯი, კონტეათი, საწულუკიძო, კუხი, გუბი, ხონი, ქარჩხაპი, ივანდიდი, პატარა და დიდი ჯიხაისი, ქვიტირი, ჭაკანი, ღანარი, კულაში, სამტრედია, ეწერი, ჯიქთუბანი და იანეთი. ამ დიდებულ სარწყავ არხებს 4000 მონაწილეზე მეტი ყავს რამდენიმე ათას ქცევამდე სახნავ სათესი ადგილებით და ორასზე მეტი წისქვილით. თუ რამდენათ სასარგებლოა ხალხისათვის სარწყავი წყალი, ამას დიდი გამოკვლევა არ უნდა, რადგან თითქმის ყველამ იცის, რომ, თუ წინათ ხონისა და ივანდიდის ადგილები ათიდან ოც მანეთად ფასობდა მცევა, რადგან მიწა გამოფიტული იყო და არაფერ მოსავალს არ იძლეოდა, დღეს ქცევა ადგილი ას ფუთ სიმინდს მეტს იძლევა და ფასობს 200—300 მანეთად და თითქმის მეტადაც. ასეთ სარგებლობას იძლევა წისქვილებიც: წინათ თუ გვალვის ეშინოდათ, დღეს სრულიად უზრუნველყოფილი არიან, რადგან ცხენი წყალში წყალი ბლომათაა და, თუ კარგი მმართველი იქნა, წყალი თავის დროზე ექნება ყველას. ამიტომ საჭიროა ღირსეულ მცოდნე პირების ამორჩევა. და ეს არც ისე საძნელოა, რადგან, 4000 მონაწილესთვის სულ ათი კაცია საჭირო.

მიუხედავათ ამისა დღემდე არ იქნა და ვერ ვეღირსეთ ერთ წესიერ არჩევანს, მუდამ ნათლიმამობითა და ძალმომრეობით ხდება არჩევანი. ასეთ არჩევანს ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ არჩევანი ხდება არა საშუალო ალაგას და ხონში, სადაც, რა თქმა უნდა, ოცი ოცდა ხუთი ვერხის სიშორიდან ისიც ზამთრის პირას, მონაწილეები ვერ ესწრებიან და ამომრჩევლათ რჩებიან მარტო ხონელები, რომლებიც ისეთ პირებს ირჩევენ რომლებიც მარტო მახლობელ მხარეების მოთხოვნილებას ასრულებენ და შორებლები კი უპატრონოთ რჩებიან.

წასულ არჩევანზე ორჯერ მოხდა ყრილობა. ხალხი ბლომათ დაესწრო. შეეცადენ, რომ ნამდვილი ხალხისთვის გულ-შემატკივარი პირები აერჩიათ, მაგრამ ხონელებმა იმის შიშით, რომ თუ იანეთიდამ ან კულაშიდან ვინმე დაინიშნა ხონს წყალი შამოაკლდებაო შეეცადენ კრება ჩაეშალათ. მესამე ყრილობა დანიშნეს დაკვმბერში. ცუდი ამინდის და სიშორის გამო, კრებას რვა საზოგადოებიდან რვა კაცი დაესწრო. ხონელებმა ისარგებლეს და მირაბათ აირჩიეს ხონის მწერლათ ნ. ფოფი იაკ. ქუთათელაძე, ხოლო რჩევის წევრებათ ვაჭარ ბუტულაშვილის ნოქარი დ. ბახთაძე, ხონის ბანკში მოსამსახურე ივანე გორდაძე პატარა ჯიხაისის ბანკის მოსამსახურე ღოღობერიძე და დიდი ჯიხაიშის ბანკის თავმჯდომარეთ ნამყოფი იოსებ ლეჟავა. ზემოხსენებული რჩევის პირნი თუ რა სარგებლობას მოუტანდენ ხალხს ეს ადვილი წარმოსადგენია.

რაც შეეხება მირაბს, როგორც ერთ პიროვნებას, რაც კი ძალა შესწევდა, ცდილობდა მხოლოდ ხონისა და მახლობელ სოფლებისათვის. შორებლები კი უყურადღებოთ იყო მიტოვებული. სამი წლის განმავლობაში არხები ამოისილა, არ გაწმენდილა, რის გამოც პირველ გვალვიან წელიწადს უმრავლესობამ წყალით ვერ ისარგებლა. დაიწყეს წყლის პარვა, ჩხუბსა და აურზაურს საზღვარი არ ქონდა. ბევრი მონაწილე მისცეს პასუხის გებში და ბევრიც დაისაჯნენ. ხოლო ორი წელიწადი გამუდმებულმა წვიმებმა ხალხს ააშორა მოსალოდნელი აურზაური.

როგორც ზემოხსენებულიდან დაინახავს მკითხველი, წასული სამი წლის განმავლობაში ამორჩეულ პირებს საერთოდ თვალსაჩინო არა გაუკეთებიათ რა; მიუხედავათ ასეთი უშოქმედობისა, გადასახადი დიდი ადევს ხალხს: ქცევაზე შვიდი შაური. ამდენი გადასახადი მაშინაც კი არ ხდებოდათ მონაწილეებს, როცა 70000 მანეთამდი გასავალი ჰქონდათ, ეხლა ხომ გასავალი ამის ნახევარიც არ არის.

მოვუწოდებ მონაწილეთ: აუცილებლათ დაესწრონ არჩევნებს, მოითხოვონ ანგარიში და დაადგინონ, რომ არჩევანი მოხდეს არა ხონში, არამედ საშუალო ალაგს, დიდი ჯიხაისში, კულაშში ან საღოღობერიო ჯიხაისში მაინც. დაუნიშნონ მირაბის და სხვა მოსამსახურეებს ჯამაგირი და უთუოდ შეადგინონ წინდაწინ ხარჯის რაოდენობა; ამოარჩიონ სამსახურისათვის ისეთი პირები, რომელთაც სხვა საქმე არ აწუხებდეს, შემდეგ არჩევანისათვის შემოიღონ რაიონული წარმომადგენლობა, რომ არჩევნებზე ყველა მონაწილის დასწრება არ იყოს საჭირო. წინაალმდეგ შემთხვევაში ძალმომრეობა და უწესრიგობა არ მოისპობა და ასეთი დიდებული სასარგებლო საქმე ყოველთვის უსარგებლოთ ჩაუვლის ხალხის უმეტეს ნაწილს.

ი ხეთვრელი.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთ „სამშობლოს“ საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადო იმ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და შემოიტანეს ტყიბულის უფასო წიგნსაცავ სამკითხველოს საწევრო ფული პირველი ხვედრი თითო-მანეთი. აქვე მოგვყავს სახელი და გვარი:

მიხეილ კბილაძე, აკაკი ცერცვაძე, ქრისტეფორე (ფოლიკო) ანდრეადი, თეოფილე ცქიფურიშვილი, ვასილ ცირეკიძე, მიხეილ ყუფარაძე, ვასილ ჯიშიაშვილი, დიმიტრი ბაბუხადია, რაფაელ წერეთელი, ილია ფოფხაძე, ისაკო ანდრიადი, თედორე კობახიძე, იაკოფ ფოფხაძე, კოლია პატარაია, არტემ კვახაძე, იორამ კობახიძე, სასო დვალი, ამბაკო ბოჭორიშვილი, იასონ სოფრომაძე, სილოვან ბაბუხადია, ისიდორე ბოჭორიშვილი, ალექსანდრე კვინიხიძე, ამბაკი ჟვანია, დომენტი გოგოლაშვილი.

აგრეთვე მადლობას ვუცხადებ ნიკოლოზ კუბლაშვილს, რომელმაც კეთილი ინება და შემოსწირა სამკითხველოს ფული 10 შაური.

უმორჩილესად ვსთხოვ დანარჩენ წევრებს საწევრო ფული ვისაც აქვს დარჩენილი ძველი და ეხლანდელი ხვედრი დროზე შემოიტანონ, რადგან სამკითხველოს ძლიერ ესაჭიროება საქმეების მოსაწესრიგებლათ.

გამგეობის მდივანი **ქრისტეფორე ანდრეადი.**

გერმანეთში მყოფ ტყვეებულების ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ ტყვეებულებს გაუგზავნოს ფული, ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქალალდი წარწერით:

An die Kommandatur des Kiegsgefangenenlagers
აქ დააწერეთ ლაგერის
ადრესი.
Liebesgaben für bie russischen Kriegsgefangenen
აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჭკრავს და ადრესს წააწერს.
Deutschland

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა უფასოდ გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:
suisse, Bern Ensingnenstrasse, № 48,
A. A. Baxepaxтъ

ან კიდევ მეორე:
Banque populaire Suisse, Fond Russe pour les prisonnier de guerre.

ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

Швейцарія Заказное.
suisse. Recommanbée
Comité International de la Rouge.
Agence des prisonniers de guerre Genéve.

რედ.-გამომც. **ი. თ ცინცაძე**

მატარებლების მიმოსვლა.

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის	— 5 ს.	50 წ.
„	— ღამის	—11 ს.	30 წ.
ბათომიდან	— დილის	—10 ს.	5 წ.
„	— ღამის	— 2 ს.	23 წ.
ფოთიდან	— დილის	—10 ს.	30 წ.
ტყიბულიდან	— დილის	— 9 ს.	38 წ.
„	— საღამოს	— 7 ს.	39 წ.

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	— დილის	— 7 ს.	55 წ.
„	— ღამის	— 1 ს.	7 წ.
ბათომისაკენ	— საღამოს	—10 ს.	—
„	— დილის	— 4 ს.	27 წ.
ფოთისკენ	—ნაშუადღ.	— 4 ს.	14 წ.
ტყიბულისკენ	— დილის	— 6 ს.	40 წ.
„	—ნაშუადღ.	— 4 ს.	20 წ.

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა

დიდი იაფი ვაჭრობა

ფეხსაცმელეგისა და საგალანტერიო საქონლისა.

როგორც ფასები 50%-დან 75%-დე დაკლებულია.

პატივისცემით დ. მ. ბახტაძე.

ევროპიული ტანსაცმელების მაღაზია

ალექსანდრე ი. კოსტავასი

თფილისის ქუჩაზე, ქალაქის აფთიაქთან.

ახლათ მიღებულია: საზამთრო და საშემოდგომო პალტოები, კოსტიუმები, აგრეთვე საწვიმარი მოსახურავები და სხვა მრავალგვარი შეკერილი ტანსაცმელები. აქვე იშოვება არშინობით — რუსული და საზღვარგარეული ყოველგვარი მატერიები. **რიგიან ფასებში**, რადგანაც მუშა ხელი შემცირებულია. ფასები უვაჭროთ. თ.

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

მიღებულია დიდძალი

საპნის გასაკეთებელი „სოდა“

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

სწრაფლმბეჭდავი სტამბა ალ. კოხრეიძისა — ქუთაისში

ნებადართულია სამხედრო ცენზურის აგან